



# წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის (WASH) პროექტი სკოლებში

## რატომ WASH?

WASH სკოლებში გულისხმობს სოფლად არსებული სკოლების სანიტარულ-ჰიგიენური საჭიროებებისა და პირობების გამოკვლევას, როგორც არის გარეთ არსებული საპირფარეშოები, წყლის ცუდი ხარისხი და სხვა.

დაბინძურებული წყალი, და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაუცველობა ხშირად ხდება წყლით გამოწვეული დაავადებების მიზეზი ბავშვებში. ავადობას მოსწავლეების მიერ სკოლის გაცდენა მოსდევს, ეს კი უარყოფით გავლენას ახდენს მათი განათლების, და მომავალში დასაქმების შესაძლებლობებზე.

პრობლემას წარმოადგენს არა მხოლოდ შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობა, არამედ განათლების ნაკლებობა სწორი ჰიგიენური ნორმების შესახებ.

წყლის და სანიტარიის პრობლემის მოგვარება სკოლებში არამარტო ჯანმრთელობას, არამედ გრძელვადიან ეკონომიკურ სარგებელსაც გულისხმობს, მათ შორის უკეთესი დასაქმების შესაძლებლობებს და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, რაც ჯანმრთელობის და განათლების გაუმჯობესებული პირობებიდან გამომდინარეობს.

*2017 წლიდან, ქეა, საქართველოს სამედიცინო ჯგუფთან თანამშრომლობით აჭარისა და გურიის სკოლებში მუშაობს ბავშვებისთვის ჯანმრთელობისა და განათლების უკეთესი პირობების შესაქმნელად, და წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის გარშემო არსებული ქცევების ცვლილების ხელშესაწყობად, სათემო მობილიზაციისა და ჰიგიენაზე განათლების ხელმისაწვდომობის საშუალებით და ქალებისა და ახალგაზრდების გაძლიერებით.*

## პროექტის მხარდაჭერი:

New World Program

## განმახორციელებელი ორგანიზაციები:

ქეა საერთაშორისო კავკასიაში; საქართველოს სამედიცინო ჯგუფი

**პროექტის მიზანი:** სკოლებში უსაფრთხო წყლისა და სანიტარიაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, ინკლუზიური, თემზე დაფუძნებული მიდგომის საშუალებით; ცნობიერების ამაღლება სწორი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და სკოლებში წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის მნიშვნელობის შესახებ ადგილობრივ მოსახლეობასა და დაინტერესებულ მხარეებთან.

## WASH პროექტის მთავარი ელემენტები:

- სკოლებში ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებს აკმაყოფილებს
- ცნობიერების ამაღლება თემებში, ჰიგიენის და სანიტარიის შესახებ საინფორმაციო კამპანიების საშუალებით
- სკოლების შესაძლებლობების გაძლიერება წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის კუთხით, მასწავლებლებისა და აქტიური მოსწავლეების გადამზადებისა და სასწავლო მასალების მიწოდების საშუალებით
- ადგილობრივი პასუხისმგებლობის განვითარება წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის სისტემისა და განათლების შენარჩუნების საკითხში და თემის წევრების ჩართულობის ხელშეწყობა.
- WASH კომიტეტების დაფუძნებით წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის საკითხებზე მდგრადი მმართველობის მექანიზმების ჩამოყალიბება სკოლებში და თემში
- WASH მოდელის დახვეწა და გავრცელება-ცნობიერების ამაღლება წყლის და სანიტარიის საკითხების მნიშვნელობის შესახებ, რათა მსგავსი მოდელის გავრცელება მოხდეს საქართველოს რეგიონების სხვა სკოლებში.





## გოგონებისა და ქალების ლიდერობის შესაძლებლობების გაძლიერება

სანიტარული ნორმების და ჰიგიენის არარსებობა ან ნაკლებობა მნიშვნელოვან დაბრკოლებას დაბრკოლებას უქმნის გოგონებს, განსაკუთრებით გარდატეხის ასაკში. ამიტომ პროექტი განხორციელების ყველა ეტაპზე ითვალისწინებს გოგონებისა და ქალების საჭიროებებს: მათ შორის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროცესში. ასევე, პროექტი ხელს უწყობს ქალებისა და გოგონების, ლიდერობის უნარების გაძლიერებას, მათ აქტიურ მონაწილეობას სანიტარიისა და ჰიგიენის საკითხებზე, განათლების და ადვოკატირების კუთხით და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ქვას მიაჩნია, რომ ადგილობრივ თემს გააჩნია პოტენციური გადაჭრას თემის წინაშე არსებული პრობლემები, როდესაც მათ მიეცემა შესაბამისი უნარები და შესაძლებლობები. ქვა უზრუნველყოფს თემების ჩართულობას ყველა პროცესში და თემის წევრების განათლებას სუფთა წყლის და სწორი ჰიგიენის მნიშვნელობაზე. ქვას და საქართველოს სამედიცინო ჯგუფის მიდგომა გულისხმობს ადგილობრივი პასუხისმგებლობის განვითარებას იმისთვის, რომ მოხდეს წყლის სისტემისა და სანიტარიისა და ჰიგიენის შესახებ განათლების შენარჩუნება.



### ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და აღჭურვა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად

- განცალკევებული საპირფარეშოები გოგონებისა და ბიჭებისთვის
- სველი წერტილები ადაპტირებულია განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის
- პროექტი გარემოსადმი მდგრადი ტექნოლოგიებით მუშაობს, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის მიმდებარე ტერიტორიის დაცვას დაბინძურებისგან
- სკოლებს მიეწოდება უსაფრთხო სასმელი წყალი ულტრაიისფერი ლამპების და ფილტრების მონტაჟის საშუალებით.



### ცნობიერების ამაღლება სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შესახებ

- WASH კომიტეტები უზრუნველყოფენ მოსწავლეების, და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვას ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის მონიტორინგის, და შენარჩუნების საკითხში.
- გადამზადებული აქტიური მოსწავლეები და მასწავლებლები იძენენ ცოდნას სანიტარიის და ჰიგიენის საკითხების სწავლების შესახებ და სწავლებას თანასწორებთან აგრძელებენ
- ცოდნის გავრცელება-ცოდნა მოსწავლეების საშუალებით ვრცელდება ოჯახებში და თემის სხვა წევრებში, რაც ამ კუთხით განათლების ამაღლებას უწყობს ხელს.



## წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის პროექტის განხორციელება აჭარასა და გურიაში

- აჭარისა და გურიის 4 სკოლაში სრულად გაუმჯობესდა WASH ინფრასტრუქტურა
- გადამზადდა მაღალი კლასის 40 მოსწავლე და 40 მასწავლებელი, რის შედეგადაც მათ აქვთ შესაძლებლობა გააგრძელონ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების სწავლება თანასწორებთან
- WASH განმანათლებლებისა და ლიდერების 75% ქალები და გოგონები არიან. ისინი აქტიურად მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
- 800-ზე მეტმა მოსწავლემ (რომელთა 50% გოგონებია) მიიღო ინფორმაცია სწორი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების და ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ.
- 2500-ზე მეტ თემის წევრს შორის მოხდა ინფორმაციის გავრცელება სწორი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შესახებ